პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-17 წელი.

№ 95 (1577) ○ ხუთშაბათი, 11 აგვისტო, 1960 წ. ○ ფასი 30 კაპ.



ამას წინათ მოსკოვში ლენინის სახელობის სპორტული კომბინატის საცურაო აუზში ჩატარდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოცურავეთა წინასაოლიმპიადო შეჯიბრება, სადაც დამყარებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ევროპის რამდენიმე რეკორდი.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ნორჩი მოცურავეებიც, რომლებმაც მაღალ სპორტულ შედეგებს მიაღწიეს და დაამყარეს ჩვენი რესპუბლიკის ახალი რეკორდები. ჭაბუკთა გუნდმა ნ. კაჩანის, ო. ნონიაშვილის, ბ. ლეჟავას და ვ. თოფურიას შემადგენლობით კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 აჩვენეს სარეკორდო დრო — 4 წუთი და 52 წამი. რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა აგრეთვე ამავე სახეობაში საქართველოს გოგონათა გუნდმა.

დიდი წარმატება ხვდა წილად საქართველოს ჭაბუკთა გუნდის წევრ ვ. ბულატოვს, რომელმაც 800 მეტრი გასცურა 10 წუთსა და 48,5 წამში და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

* * *

სურათებზე: ჭაბუკი მოცურავეები, რომლებმაც დაამყარეს რესპუბლიკის რეკორდი კომბინირებულ ესტაფეტაში. მარცხნიდან—ვ. თოფურია, ნ. კაჩანი, ბ. ლეჟავა და ო. ნონიაშვილი. ქვევით — რეკორდსმენი 800 მეტრზე ცურვაში ვ. ბულატოვი.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

120 მოჭადრაკის მონაწილეობით

ორიოლი (ჩვენი სპეც. კორ.) მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობაზე გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ საქართველოს ნორჩმა მოჭადრაკეებმა წააგეს I ტურის შეხვედრა ლატვიის მოჭადრაკეებთან — 5,5:6,5, ხოლო II ტურის მატჩი ლენინგრადელებთან ყაიმით (6:6) დაამთავრეს.

III ტურში საქართველოს მოჭადრაკეები დამარცხდნენ უკრაინის გუნდთან — 5,5:6,5. რსფსრ-ს გუნდმა მოუგო მოსკოვის მოჭადრაკეებს — 8:4, ასეთივე ანგარიშით ბელორუსებმა დაამარცხეს უზბეკეთის მოჭადრაკეები. ლენინგრადელებმა ანგარიშით 7:4 მოუგეს ლიტველ მოჭადრაკეებს, ხოლო ლატვიელებმა —. ესტონელებს — 9,5:2,5.

IV ტურში საქართველოს მოჭადრაკეებმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრა მოსკოველებთან — 6:6. რსფსრ-მ მოუგო უზბეკეთს — 10:2, უკრაინამ — ლიტვას — 8:4, ბელორუსიამ — ლატვიას — 7:5, ლენინგრადმა — ესტონეთს — 8,5:3,5. IV ტურში საქართველოს მოჭადრაკეებიდან გამარჯვება მოიპოვეს ლევინმა, ჯანგველაძემ და ხუგაშვილმა.

ჭ. ბოგიავა

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში გათამაშების ცხრილი

ქალები

	თ.	მ.	წ.	ქ.
ტტტ (რიგა)	11	10	1	10
სკვო (ლდ)	12	10	2	10
უსკა (ტარტუ)	13	10	3	10
კპი (კაუნასი)	13	6	7	6
„ბურ“. (ლდ)	11	5	6	5
სკიფი (ლდ)	11	5	6	5
სიმ (მოსკოვი)	12	5	7	5
„დინ“. (კიევი)	12	5	7	5
ელზ (მოსკოვი)	11	4	7	4
„დინ“. (მოსკოვი)	12	4	8	4
გპი (როსტოვი)	13	4	9	4
სპი (თბილისი)	14	4	9	4

• • •

გაიმართა მორიგი მატჩები საბჭოთა კავშირის პირველობაზე კალათბურთში. მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: უსკა (ტარტუ)-სიმ (მოსკოვი) — 57:50, კპი (კაუნასი)-სკვო (ლენინგრადი) — 56:49, კპი (კაუნასი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 58:37.

ახალ პირობებში

✦

საუბარი განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ამხ. გ. მერკვილაძესთან

✦

წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ტრადიციული მსვლელობა დაირღვა. როგორც ცნობილია, 1954 წლიდან ტარდება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადები. მომავალი თაობის ეს დიდი სპორტული ღონისძიება ყოველწლიურად იმართებოდა და შარშან ჩვენი ქვეყნის მოსწავლე სპორტსმენებმა უკვე მეექვსეჯერ მიიღეს მასში მონაწილეობა. წელს ეს თანმიმდევრულობა შეწყდა. პირველად ტარდება მოსწავლეთა ზონალური სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას არ მიიღებენ გასულ სპარტაკიადაში პირველ 5 ადგილზე გამოსული გუნდები: მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინისა და „შრომითი რეზერვების“ ნაკრები კოლექტივები. როგორც რსფსრ-სა და უკრაინის, ისევე „შრომითი რეზერვების“ სისტემის მოსწავლეები მიმდინარე წელს ე. წ. საკუთარ სპარტაკიადებში არიან დაკავებულნი, რის შემდეგ შეადგენენ თავიანთ ნაკრებ კოლექტივებს და ხანგრძლივი წვრთნის მერე, მომავალ წელს წარსდგებიან მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადაზე. მაშასადამე, გასულ წელს სპარტაკიადაში მონაწილე 19 გუნდიდან წელს რჩება მხოლოდ 14, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილნი არიან ორ ჯგუფად. ერთი ასეთი ჯგუფი, რომელშიც 8 მოკავშირე რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები შედის, მათ შორის — საქართველოსიც, სულ მალე, 17 აგვისტოდან, მინსკში გახსნის ზონალურ სპარტაკიადას და სპორტის 13 სახეობაში გამართავს ასპარეზობას ბელორუსიის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის და ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მოსწავლე-სპორტსმენებს შორის.

არის კიდევ ერთი სიახლე: ამიერიდან როგორც ზონალურ, ისე საკავშირო სპარტაკიადებზე რესპუბლიკები წარსდგებიან არა მხოლოდ ნაკრები გუნდებით, არამედ, მათთან ერთად, ოთხი სასკოლო გუნდით, — ამა თუ იმ სკოლის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებით, რომლებიც რესპუბლიკის სკოლათა შორის უძლიერესნი აღმოჩნდებიან ტანვარჯიშში, ძძლეოსნობაში, ფრენბურთსა და კალათბურთში.

რა პერსპექტივები აქვს საქართველოს მოსწავლეთა სპორტულ დელეგაციას მინსკის ზონალურ სპარტაკიადაზე?

უბრალო ლოგიკით გამოდის, რომ რაკი გასულ წელს ჩვენ საერთო გუნდური მეექვსე ადგილი დავიკავეთ, ხოლო ჩვენზე წინ გამოსული 5 გუნდიდან მიმდინარე წელს არც ერთი არ მონაწილეობს ზონალურ სპარტაკიადაში, მაშასადამე, უძლიერესის სახელიც ახლა ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივს უნდა დარჩეს. ასე გამოდის მხოლოდ უბრალო, მარტივი ლოგიკით, მაგრამ თუ საქმის არსს ჩავუკვირდებით, მივიღებთ სრულიად სხვა სურათს.

საქართველოს მოსწავლეთა სპორტული დელეგაციები გასულ სპარტაკიადებში ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყვნენ და მხოლოდ რუსეთისა და უკრაინის გუნდებს თუ ჩამორჩებოდნენ, ხან კი — სჯობნიდნენ კიდევაც. მაგრამ ახლა, როცა მონაწილეთა შემადგენლობა დანაწევრდა და შემცირდა, როცა გამოგვაკლდა ზოგიერთი მეტოქე, მთელი ეს პროცესი არა თუ ჩვენს სასარგებლოდ, არამედ — უმეტესად, ჩვენს საპირისპიროდაც წარიმართება.

თავდაპირველად, გავიხსენოთ ის, რომ წინა სპარტაკიადებზე ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივს ყოველთვის ფეხდაფეხ მისდევდა ხოლმე პატარა, მაგრამ სპორტულად ძლიერი მოძმე რესპუბლიკის — ესტონეთის გუნდი. და აი, ნახევარზე მეტი იმ 13 სახეობიდან, რომლებსაც ზონალური სპარტაკიადის პროგრამა შეიცავს, წარმოადგენს ესტონეთისა და საერთოდ, ბალტიისპირეთის ყველა რესპუბლიკისათვის თითქმის ეროვნულ სპორტულ სახეობებს; ასეთებია: კალათბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ნიჩბოსნობა, ძძლეოსნობა. ამ სახეობებში ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გუნდები ხშირად ჩვენზე და სხვა მოწინავე კოლექტივებზე უკეთეს ადგილებს იკავებდნენ. თავის მხრივ, ისეთ სახეობებში, როგორიცაა ტანვარჯიში, წყალბურთი და ფეხბურთი, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა უპირატესობა ყოველთვის აშკარა იყო, ხოლო მაგალითად, ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა გუნდები აქ ჩამოგვრჩებოდნენ არა მხოლოდ ჩვენ, არამედ დიდ უმრავლესობას მონაწილე 19 გუნდიდან, ხოლო ხანდახან ბოლო ადგილებსაც კი იკავებდნენ. მაგრამ გავითვალისწინოთ ისიც, რომ კალათბურთში, ცურვაში, წყალში ხტომაში და ა. შ., ორ-ორი გუნდის, გოგონათა და ჭაბუკთა, ჩათვლა შედის, ხოლო ფეხბურთში და წყალბურთში — თითო-თითოსი; გავითვალისწინოთ ისიც, რომ ტანვარჯიშში შემცირებულია ოსტატობის თანრიგით გამომსვლელთა სიძნელის კოეფიციენტი და ეს კი ნიშნავს, რომ მძიმე პროგრამის გამო ჩვენი ტანმოვარჯიშეთა ძლიერი გუნდის შეფასება შეიძლება სულ ადვილად გაუთანაბრდეს სხვა რესპუბლიკათა გაცილებით უფრო სუსტი გუნდების მაჩვენებლებს (მოზარდთა პირველ თანრიგში) და არასამართლიანად ჩამორჩეს კიდეც მათ. და ბოლოს, გავითვალისწინოთ ისიც, რომ თუ წინათ, მაგალითად, ფეხბურთში ესტონეთი მე-18 ადგილს იკავებდა და 18 საჯარიმო ქულაც ეწერებოდა, ახლა იგი მე-8 ადგილზე ქვევით ველარ „ჩამოვა“ და ათი საჯარიმო ქულაც მოეხსნება მაშინ, როცა ქულათა შეფარდება კალათბურთსა და სხვა სახეობებში თითქმის ძველებური დარჩება: იშვიათად, რომ ამ სახეობათა მიხედვით რომელიმე ჩვენი გუნდი მე-8 ადგილზე ქვევით ჩამოსულიყოს. ასე რომ, როგორც ვხედავთ, გზა პირველი ადგილისათვის ჩვენთვის არც თუ მთლად იაკარდითაა მოფენილი.

მაგრამ, ზემოთქმული ერთის წამითაც არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ჩვენ თავს ვიზღვევდეთ შესაძლებელ წარუმატებლობისაგან. არავითარ შემთხვევაში! საქართველოს მოსწავლე-სპორტსმენთა დელეგაცია მინსკში გაემგზავრა შეუპოვარი რწმენით — დაიმკვიდროს ზონალურ სპარტაკიადაში უძლიერესის სახელი, ამ ასპარეზობაში კიდევ ერთხელ შეამოწმოს თავისი ძალები, სუსტი და ძლიერი მხარეები, ხოლო შემდეგ, მთელი წლის მანძილზე, მონდომებით, გაცხოველებით ემზადოს უფრო დიდი წარმატების — 1961 წლის საკავშირო სპარტაკიადაზე საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს ნორჩ სპორტსმენთა ყველა ეს გეგმა წარმატებით შეიხსამს ხარცს!

★

ამას წინათ მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ სასახლეში დამთავრდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება, რომლის შემდეგაც დაკომპლექტებულ იქნა ჩვენი ქვეყნის ნაკრები რომის ოლიმპიურ თამაშებისათვის.

• • •

სურათზე: საბჭოთა კავშირის ოლიმპიური გუნდის წევრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი სოფიო მურატოვა ვარჯიშის დროს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

★

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სპორტული ფაბრიკის საამქროებში სოციალისტური შეჯიბრებაა გაშლილი. — მოვამარაგოთ რესპუბლიკა მაღალხარისხოვანი ინვენტარით! ასეთია მათი დევიზი.

სურათებზე: შრომის პროცესი ფაბრიკის საამქროებში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საწარმოს სპორტული კლუბი

დიდი გამოცოცხლებაა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის დარგში. საგრძნობლად გაიზარდნენ და განმტკიცდნენ ფიზკულტურის ძირეული კოლექტივები, რომელთაც შესწევთ უნარი დადებითად გადაჭრან ფიზკულტურის მასობრივი დანერგვის საკითხები, მოამზადონ მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენები, ააგონ სპორტული ბაზები.

ამიტომ მრავალმა მსხვილმა საწარმომ შემოიტანა წინადადება იმ კოლექტივებს, რომლებიც სპორტში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევენ, მიენიჭოს სახელწოდება „სპორტული კლუბი“. საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა წინადადებას და თავის მხრივ აღნიშნა, რომ სპორტული კლუბების შექმნა წარმოადგენს საწარმოებში ფიზკულტურული მუშაობის უფრო მაღალ ფორმას და ფიზკულტურული მოძრაობის ნამდვილად მასობრიობას.

საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: სპორტკავშირებთან ერთად სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გაშალონ მუშაობა ფიზკულტურის კოლექტივებთან, რათა მათ შეასრულონ მოთხოვნები სპორტული კლუბის წოდების მიღებისათვის.

ქვემოთ მოგვყავს სპორტული კლუბის დებულება.

დებულება

I

სპორტული კლუბი იქმნება ფიზკულტურის კოლექტივის ბაზაზე, რომელმაც მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში და შეასრულა შემდეგი მოთხოვნები:

— ჩააბა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა 40 პროცენტი;

— დანერგა სპორტის 12-15 სახეობა, მათ რიცხვში მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა, ველოსპორტი, ძალოსნობა და კიდევ სპორტის 7-10 სახეობა ამორჩევით;

— რეგულარულად აწყობს პირველობებს სპორტის სახეობების მიხედვით, შეჯიბრებებს, სამატჩო შეხვედრებს და უზრუნველყოფს სექციაში მომეცადინეთა შეჯიბრებაში მონაწილეობას 6-8-ჯერ წლის მანძილზე, ხოლო თანრიგოსან სპორტსმენთა — არანაკლებ 15-ჯერ.

— მონაწილეობს საქალაქო და რაიონულ შეჯიბრებებში საამქროების სპორტული გუნდებით და სისტემატურად მონაწილეობს საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკის პირველობებსა და საკავშირო შეჯიბრებებში;

— ჰყავს მსაჯთა კოლეგია, რომელიც უზრუნველყოფს თავის ყველა შეჯიბრების ჩატარებას;

—ჰყავს ყოველ 12-15 ფიზკულტურელზე, არა ნაკლებ ერთი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი ან მწვრთნელი;

— ამზადებს სპორტის ოსტატებს და უზრუნველყოფს ფიზკულტურელთა საერთო რიცხვიდან 12-15 პროცენტით სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებას;

— თავისი ფიზკულტურის კოლექტივში აქვს ბავშვთა სპორტული სკოლა;

— აწყობს საწარმოო ტანვარჯიშის მეცადინეობას იქ, სადაც საშუალებას იძლევა საწარმოო პროცესის პირობები და ჩაბმული ჰყავს მასში მუშა-მოსამსახურეთა 80 პროცენტი;

— აქვს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობისა და შეჯიბრებებისათვის და ახალგაზრდული გამაჯანსაღებელი ბანაკი;

— უზრუნველყოფს ფიზკულტურელთა სისტემატურ საექიმო შემოწმებას.

ფიზკულტურის იმ კოლექტივებს, რომლებიც გაანაღდებენ ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოს წარდგენით პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმი ანიჭებს სახელწოდებას „სპორტული კლუბი“ და გადასცემს სპეციალურ მოწმობას.

II

სპორტული კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს მმართველობა, რომელიც ირჩევა კლუბის წევრთა საერთო კრებაზე (კონფერენციაზე) 2 წლის ვადით.

კლუბის მმართველობა თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილეს, მდივანს და ანაწილებს მოვალეობას წევრთა შორის.

სპორტული კლუბის მმართველობასთან იქმნება სპორტულ სექციათა საბჭო, მწვრთნელთა საბჭო, მსაჯთა კოლეგია და კომისიები: საორგანიზაციო-მასობრივი, პროპაგანდის, მშთ კომპლექსის, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი მუშაობის, საექიმო კონტროლის, სამეურნეო და სხვა.

საწარმოოს სპორტული კლუბის მთელი საქმიანობა ხორციელდება იმ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოების დებულების საფუძველზე, რომელშიც შედის სპორტული კლუბი.

სპორტული კლუბის მმართველობა მუშაობს პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტისა და ზემდგომი სპორტული საზოგადოების საბჭოს ხელმძღვანელობით, ამასთან მჭიდრო კონტაქტი აქვს კომკავშირულ ორგანიზაციასთან.

საწარმოს საამქროებსა და განყოფილებებში იქმნება საამქროების ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებიც მუშაობას წარმართავენ საამქროს პროფკავშირული კომიტეტისა და სპორტული კლუბის მმართველობის ხელმძღვანელობით.

III

სპორტული კლუბის მმართველობას უფლება აქვს:

— მიანიჭოს კლუბის წევრებს პირველი, მეორე, მესამე და ჭაბუკთა თანრიგი და დააჯილდოვოს ისინი თანრიგოსანთა შესაბამისი ნიშნებით;

— მიანიჭოს პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის სპორტული მსაჯის წოდება;

დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა ყველა შეჯიბრებაში, მათ შორის პროფკავშირებისა და საბჭოთა კავშირის პირველობებში, აგრეთვე ამხანაგურ საერთაშორისო სპორტულ შეხვედრებში;

— მოაწყოს კურსები და სემინარები საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მოსამზადებლად;

— მიანიჭოს საზოგადოებრივი ინსტრუქტორის წოდება და გასცეს მოწმობა;

— წარუდგინოს კლუბის წევრი სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების რესპუბლიკურ საბჭოს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდების მისანიჭებლად და „ფიზიკური კულტურის წარჩინებულის“ ნიშნით დასაჯილდოვებლად;

— წელიწადში ერთხელ მოაწყოს ძირითადი სპორტის სახეობათა საზოგადოებრივი ინსტრუქტორების სასწავლო-საწვრთნელი შეკრება;

— დააჯილდოვოს ნიშნით „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“;

— დააჯილდოვოს კლუბის წევრები სიგელებით, სამახსოვრო საჩუქრებით სპორტული შედეგებისა და საზოგადოებრივ-ფიზკულტურული მუშაობისათვის.

IV

საწარმოოს სპორტულ კლუბს შეუძლია ჰქონდეს თავისი სახელწოდება, სპორტული ფორმა, ემბლემა და ბეჭედი.

სპორტულ საზოგადოებებში

„კოლმეურნე“

მიმდინარე თვის დამლევს ერევანში გაიმართება ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სოფლის სპორტსმენთა ზონალური სპარტაკიადა. ამ ღონისძიებაში წარმატებით გამოსვლისა და წინა სპარტაკიადაში მოპოვებული შედეგების შესანარჩუნებლად დიდი ხანია შეუდგნენ სამზადისს საქართველოს სოფლის ფიზკულტურელები, ჩატარდა შეჯიბრებები ძირეულ კოლექტივებში, რაიონებში, ოლქებში, რის შემდეგ მოეწყო ზონალური და ფინალური შეხვედრები.

სპორტის მთელ რიგ სახეობებში ჩატარებულმა შეჯიბრებებმა ცხადჰყო, რომ რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა ცხოვრებაში სათანადოდ ინერგება ფიზკულტურა და სპორტი. თითქმის ყველა ძირეულმა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა წინასწარ შეხვედრებში, ზოგიერთ სახეობაში საგრძნობლად ამაღლდა სპორტსმენთა ტექნიკა და, რაც მთავარია, იგი მასობრივი გახდა.

ფრენბურთელთა ტურნირის ზონალურ შეჯიბრებებში 40-ზე მეტი რაიონის ვაჟთა და ქალთა გუნდები გამოვიდა. რიცხვი არც ისე მცირეა, მაგრამ სოხუმში ჩატარებულმა ფინალურმა ტურნირმა, რომელშიც ვაჟთა 10 და ქალთა 8 გუნდი მონაწილეობდა (ქალთა შორის ფინალში არ გამოვიდნენ ტყიბულისა და სამხრეთ-ოსეთის გუნდები), დაგვანახა, რომ შეჯიბრებისათვის სათანადოდ მხოლოდ აჭარის, აფხაზეთის, ლაგოდეხისა და გორის კოლექტივები იყვნენ მომზადებულები. დუშეთის, ახალციხის, ცხაკაიასა და სხვა გუნდების მომზადების დონე კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა.

ხუთდღიანი ბრძოლის შედეგად, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს აჭარისა და აფხაზეთის გუნდებმა. ორივეგან ჩემპიონები გახდნენ აფხაზეთის ფრენბურთელები, ვაჟთა შორის მესამე ადგილი მოიპოვეს გორის, ქალებში — ლაგოდეხის სპორტსმენებმა.

დაბალი შედეგებით დამთავრდა ველოსიპედისტთა შეჯიბრებაც, რომელიც გორში ჩატარდა. აქ იმის გამო, რომ ვერცერთმა კოლექტივმა ვერ შეძლო ჩასათვლელი ნორმატივების ჩვენება, გუნდური პირველობა გაუთამაშებელი დარჩა. 9 რაიონის 92 სპორტსმენიდან მხოლოდ 4-მა აჩვენა სათანრიგო ნორმატივი. მათ შორის ერთი პირველი და ორი მეორე თანრიგისა.

პირად პირველობაზე ვაჟთა შორის ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი შედეგებით გამოვიდნენ: 50 კმ რბოლაში — ვ. სიკორსკი (სამგორი) და 100 კმ-ზე რბოლაში — რ. გუძი (აფხაზეთი), ხოლო ქალებში ვ. მინიაილოვა (აფხაზეთი) და ნ. პიკალოვა (აჭარა), რომლებმაც მოიპოვეს პირველი ადგილები. აქვე მოეწყო ძირეული კოლექტივების შეჯიბრებაც. კარგად გამოვიდნენ გუდაუთის რაიონის სოფელ კულანურხვის ველოსიპედისტები ს. ჩაჩავა და ვ. კეხბა. მათ გაიმარჯვეს ვაჟთა შორის 25 და 50 კილომეტრზე რბოლაში, სამაგიეროდ, ქალებში აჭარის გუნდის წევრმა ნ. სემიონოვამ მოიპოვა ორი პირველი ადგილი 15 და 20 კმ რბოლაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს კულანურხველმა ველოსიპედისტებმა.

* * *

მძლეოსანთა სტარტი შედგა ბათუმში. აქ საერთო გუნდურ ჩათვლაში შეჯიბრება მოიგეს აფხაზეთის სოფლის სპორტსმენებმა, ნაკრებ კოლექტივებში — სამტრედიის, ხოლო ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის უძლიერესები იყვნენ ქობულეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მძლეოსნები.

პირად პირველობაზე 100 მ რბენაში პირველი იყო ხაშურელი ნ. ნოზაძე, 200 მ. მოიგო აფხაზეთის გუნდის წევრმა ვ. პომახონოვამ, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში პირველობა არავის დაუთმო ა. ბადულინამ და სხვ. ვაჟებში 100 მ რბენაში ზუგდიდელმა მ. გორდავამ მხოლოდ მკერდით მიასწრო ფინიშზე ე. ფილიევს (ქობულეთი), ასევე ერთნაირი შედეგები (175 სმ) ჰქონდათ სიმაღლეზე ხტომაში სამტრედიელ ლ. კარტოზიასა და ქობულეთელ შ. ართმელაძეს. ესტაფეტა 4×400 მ მოიგეს გურჯაანის რაიონის არაშენდის კოლმეურნეობის მძლეოსნებმა.

რომის გზაზე

გ. კარტოზია, ა. ქორიძე, გ. სხირტლაძე და ვ. რუბაშვილი — ოლიმპიურ გუნდში

◆

საბჭოთა კავშირის უძლიერესმა მოჭიდავეებმა, ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებმა მოსკოვის მახლობლად, ქალაქ პოდოლსკში ჩაატარეს შერჩევითი ტურნირი, რომელმაც გამოავლინა ნაკრები გუნდის წევრები და სათადარიგო მოჭიდავეები. თავისუფალ ჭიდაობაში რომში წასვლის უფლება მოიპოვეს (წონითი კატეგორიების მიხედვით) — ალიევმა, შახოვმა, რუბაშვილმა, სინიავსკიმ, ბეკმურზოვმა, სხირტლაძემ, ალბულმა და ძარასოვმა. გუნდის სათადარიგო წევრები არიან ბალავაძე და მუშეღიანი.

როგორ წარიმართა გადამწყვეტი შეხვედრები ნაკრების კანდიდატთა შორის? უმჩატეს წონაში მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა ალიევ-ცალქალამანიძის ბრძოლას. 12 წუთის მანძილზე ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ მიაღწია უპირატესობას, შეხვედრა დამთავრდა ფრედ. მჩატე წონაში ვარჯიშების დროს კუნთი დაიზიანა არსენიანმა, ამიტომ მან მთელი ძალით ვერ ჩაატარა ბრძოლა შახოვთან. ამ უკანასკნელმა მოიპოვა გამარჯვება ქულებით. ახალგაზრდა რუბაშვილს ჰყავდა ორი ძლიერი კონკურენტი — მირზოევი და მუშეღიანი. თბილისელმა ძლიერად ჩაატარა ორივე ბრძოლა და მოიპოვა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება.

მსუბუქ წონაში მთავარი მეტოქეები იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონი სინიავსკი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჯლამაძე. ბრძოლა მათ შორის მეტად საინტერესო გამოდგა. როგორც თბილისში, ჯლამაძემ აქაც გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია დგომში. ჩოქბჯენში ბევრს ეცადა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა სწრაფ მოწინააღმდეგეს. გამარჯვება მოიპოვა ჯლამაძემ. მაგრამ მწვრთნელთა საბჭომ პირველ ნომრად მაინც სინიავსკი დააყენა, როგორც უფრო გამოცდილი მოჭიდავე.

კანდიდატთა ყველაზე ძლიერი შემადგენლობა იყო ქვესაშუალო წონაში. პირველი ადგილისათვის აქ იბრძოდნენ ბალავაძე, ნებიერიძე და ბეკმურზოვი. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ბალავაძე-ნებიერიძის შეხვედრა, რომელიც მოიგო ნებიერიძემ. შემდგომში ორთავე სპორტსმენმა შესაძლებლობაზე სუსტად იმუშავა ბეკმურზოვთან, რომელმაც მოიპოვა რომში წასვლის უფლება. სხირტლაძე-ალაბეკიანის ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა რომის კანდიდატის საკითხი საშუალო წონაში. თბილისელი მოჭიდავე უდავოდ ძლიერი იყო თავის მეტოქეზე და მან მოიპოვა კიდეც დამსახურებული გამარჯვება.

ჩვეულებრივზე სუსტად გამოიყურებოდა ქვემძიმე წონაში კულაევი, რომელმაც წააგო შეხვედრა როგორც ალბულთან, ისე გურევიჩთან. შემდეგ ალბულმა დაამარცხა გურევიჩი და ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვა. მძიმე წონაში ფრედ დამთავრდა ძარასოვ-ვიხრისტიუკის ორთაბრძოლა. მწვრთნელთა საბჭომ პირველ ნომრად ძარასოვი დაამტკიცა.

კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მოხვდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით) კოჩერგინი, კარავაევი, ვირუპაევი, ქორიძე, გამარნიკი, ჩუჩალოვი, კარტოზია, ბოგდანი, სათადარიგო წევრებად — გურევიჩი და აბაშიძე.

კარგად ჩაატარა შერჩევითი ტურნირი კოჩერგინმა. მან ქულებით დაამარცხა სოლოვიოვი და გურევიჩი. ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა კარავაევმა, რომელმაც მოიგო ყველა შეხვედრა. ქვემსუბუქ წონაში ორი შეხვედრა წააგო სტაშკევიჩმა. იგი დამარცხდა ვირუპაევთანაც და ლუდუშაურთანაც. შემდეგ ლუდუშაურმა მოუგო შეხვედრა ქულანახევრით ვირუპაევს, მაგრამ მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით რომში წასვლის უფლება მაინც ვირუპაევს მიეცა.

თავის მეტოქეებზე აშკარად ძლიერი იყო ქორიძე. მან ქულებით დაამარცხა მთავარი მოწინააღმდეგეები კარშუნოვი და კოლოპოვი. ქვესაშუალო წონაში შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ გვანცელაძემ დაამარცხა (ორი ქულით) გამარნიკი, მაგრამ ამ უკანასკნელს მისცეს რომში გამოსვლის უფლება, როგორც უფრო გამოცდილ მოჭიდავეს.

საშუალო წონაში ორი პრეტენდენტი იბრძოდა — ჩუჩალოვი და ზენინი, გაიმარჯვა ქულებით ჩუჩალოვმა. ქვემძიმე წონაში შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი კარტოზია. იგი ერთხმად იქნა შეყვანილი ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, როგორც უძლიერესი. მძიმე წონაში ბოგდანმა დაამარცხა პარფიონოვი.

ვ. კუხიანიძე,
დამსახურებული მწვრთნელი.

მეგობართა შეხვედრა

მიმდინარე ოლიმპიურ წელს ჩვენს მძლეოსნებს ბევრი საზრუნავი გაჩნდათ, უპირველეს ყოვლისა მოემზადებიათ უძლიერესი სპორტსმენები, რომლებიც მოიპოვებდნენ რომის საგზურს და შევიდოდნენ ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდში. ასეთები აღმოჩნდნენ — სიმაღლეზე მხტომელი რობერტ შავლაყაძე, სწრაფმავალი ალექსანდრე შჩერბინა, სიგრძეზე მხტომელები რევაზ ქვაჩაკიძე და ლიუდმილა იევლევა. ეს ჩვენი უდავო წარმატებაა.

ამ მუშაობასთან ერთად პარალელურად მიმდინარეობდა ახალგაზრდა ნიჭიერ მძლეოსანთა გამოვლინებისადმი მიმართული მუშაობა, რომლის დასკვნითი ეტაპი ლატვიის სპორტსმენებთან შეხვედრა იყო. ეს შეჯიბრება 6-7 აგვისტოს ჩატარდა რიგაში. სრული ოლიმპიური პროგრამით გამოსვლა ჩვენს გუნდს გაუძნელდა, რადგან გარდა ზემოხსენებული მძლეოსნებისა, რომლებიც რომში მიემგზავრებიან, აღნიშნულ შეჯიბრებაზე სხვადასხვა მიზეზების გამო მონაწილეობა ვერ მიიღო ბევრმა უძლიერესმა სპორტსმენმა, მათ შორის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. დვალიშვილმა, ი. დიაჩკოვმა, ლ. პატარიძემ, ა. ბედუკაძემ, ი. სისოევმა, ზ. შანგუამ და სხვ. მათი ადგილები ახალგაზრდებმა დაიკავეს. მეგობრულ მატჩში გაიმარჯვეს ლატვიის მძლეოსნებმა. განსაკუთრებით ძლიერი აღმოჩნდა მათი ქალთა გუნდი.

ჩვენი სპორტსმენებიდან წარმატებას მიაღწია ნ. სერგეევმა, რომელმაც 5000 მეტრზე რბენაში აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 14.30,8.

შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს აგრეთვე ლ. ანთაძემ, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა 100 და 200 მ რბენაში (10,8 და 22,1), გ. გვინჩიძემ 110 მ თარჯრბენში — 15,5, გ. გუდაშვილმა — ბადროს ტყორცნაში — 48.31 მ, ო. გოზაძემ — ბირთვის კვრაში — 1[illegible].45 მ. ჩვენი მძლეოსნები გამ[illegible] [illegible]ვიდნენ ხტომებში. (გ. [illegible] — 195 სმ, ჭოკით ხტომაში — ვ. ვენცკევიჩი — 4.00). ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში უძლიერესი იყო ლ. ტულუში — 49,98 მ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ე. ლომთაძის არასპორტული საქციელი. გუნდს იგი ძალზე სჭირდებოდა და ამიტომ მას თვლიდნენ გუნდის საიმედო ბურჯად. ვაჟთა ამანათრბენში 4×100 მეტრზე 3 ეტაპის შემდეგ მოპოვებული წარმატება (6 მეტრის მანძილი — ანთაძე, ჯარამნელი, თურმანიძე) დაჰკარგა და ფინიშთან მკერდით წააგო მასპინძლებთან. რატომ მოხდა ეს? ე. ლომთაძეს მიღებული ჰქონდა ტრავმა, რომლის შესახებ ყველამ იცოდა, მაგრამ თუ რა მდგომარეობაში იყო, ეს მხოლოდ მას შეეძლო განესაჯა. და აი აქ თავი იჩინა ცრუ პატრიოტიზმმა, უკეთ რომ ვთქვათ, ეგოისტურმა მიდრეკილებამ და კოლექტივის უპატივცემლობამ, მას ეგონა, რომ მოწინააღმდეგენი გაცილებით უფრო სუსტები იყვნენ (ესეც წინდაუხედაობაა, რომელსაც არასდროს კარგი შედეგი არ მოუტანია) და ნატკენი ფეხით გამოვიდა შეჯიბრებაზე, დაუმალა რა ყველას თავისი მდგომარეობა. რასაკვირველია, ამანათრბენის მოგება ან წაგება, საბოლოო შედეგზე ზრავითარ გავლენას არ ახდენდა, მაგრამ მთელი კოლექტივი აღშფოთებული იყო ე. ლომთაძის საქციელით.

ე. ლომთაძე ძლიერი, დიდი პოტენციალის მქონე სპორტსმენია და სწორედ ამიტომ მოექცა მას მკაცრად გუნდი, როდესაც გამოუცხადა საყვედური.

14-15 აგვისტოს ვილნიუსში საქართველოს მძლეოსანთა გუნდი შეხვდება ლიტვის ნაკრებ გუნდს.

ლ. გიორგაძე

საქართველოს
პირველობა

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

თბილისში თამაშობდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ცხაკაიას „განთიადის“ გუნდები. ანგარიში გახსნეს სტუდენტებმა, მაგრამ შესვენების შემდეგ სტუმრებმა გაქვითეს გოლი და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

რუსთავის „ქიმიკოსმა“ თავის მინდორზე მიიღო წულუკიძის „ფეიქარი“. შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა — 0:0. მეორე ტაიმში წულუკიძელებმა მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:1.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი თბილისში ადგილობრივ არმიელთა გუნდსა და ლანჩხუთის „გურიას“ შორის, შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1.1.

ქობულეთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შუქურა“ და ხობის „კოლხეთი“. საინტერესო ბრძოლის შემდეგ გამარჯვებას მიაღწიეს ქობულეთელებმა — 3:2.

თელავის „სპარტაკისა“ და ჩოხატაურის „ბახმაროს“ შეხვედრა, რომელიც თელავში შედგა, დაიწყო სპარტაკელთა წარმატებით. უკვე მე-7 წუთზე ლეკვეიშვილმა გახსნა ანგარიში. ეს ბურთი ჩოხატაურელმა მდივანმა გაათანაბრა კუთხური მოწოდების შემდეგ. მეორე ტაიმში თელაველებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 2:1.

თბილისის „სინათლემ“ თავის მინდორზე აიღო რევანში ახალციხის „მესხეთთან“ პირველ წრეში დამარცხებისათვის. ტრანსპორტელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1.

სტალინირის „სპარტაკისა“ და ფოთის „კოლხეთის“ შეხვედრაში ანგარიში გახსნილ იქნა სტალინირელთა მიერ მე-5 წუთზე. მასპინძლები კარგა ხანს განაგრძობდნენ იერიშებს, მაგრამ ფოთის დაცვა ამ დღეს მოწოდების სიმაღლეზე იდგა. 32-ე წუთზე „კოლხეთის“ თავდამსხმელმა ლაზარევმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1. შემდგომში უპირატესობამ ფოთელთა მხარეს გადაინაცვლა, რომლებმაც შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან — 2:1.

ერთობ „უხვმოსავლიანი“ გამოდგა მატჩი ჭიათურაში, სადაც თამაშობდნენ „მაღაროელი“ (ჭიათურა)-„იმერეთი“ (ქუთაისი). თამაშის შედეგია ფრე — 4:4.

სამაგიეროდ, არც ერთი ბურთი არ გატანილა ზუგდიდის „ოდიშისა“ და გორის „დილას“ შეხვედრაში. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

თავიანთი მორიგი შეხვედრა ბათუმის „განთიადთან“ კარგად ჩაატარეს სოხუმის დინამოელებმა. მათ დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:1.

თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი თბილისში ადგილობრივ „ისანსა“ და მახარაძის „სიხარულს“ შორის. თამაში მოიგეს თბილისელებმა — 2:1.

მეორე ჯგუფი

I ზონა

„სამეგრელო“ (ზუგდიდი)-„ცისარტყელა“ (აბაშა) — 3:0, „კოლმეურნე“ (ტყიბული)-„კოლმეურნე“ (ამბროლაური) — 3:1, „კოლმეურნე“ (საჩხერე)-„ნარინჯი“ (ჩაქვი) — 5:1, „სალხინო“ (გეგეჭკორი)-„საირმე“ (მაიაკოვსკი) — 6:3, „ალი“ (დიდიჯიხაიში)-„ლაითური“ (მახარაძე) — 2:3, „ხვამლი“ (ცაგერი)-„ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — 0:0.

II ზონა

ლენინის სახ. შახტი (ტყიბული)-„განთიადი“ (გუდაუთა) — 1:2, „ვოდნიკი“ (ფოთი)-„ნარინჯი“ (გალი) — 0:1, „თაიგული“ (ლანჩხუთი)-„ტორპედო“ (გაგრა) — 0:W. „შახტიორი“ (ტყვარჩელი)-„სპარტაკი“ (ვანი) — 6:1, „სპარტაკი“ (ჩოხატაური)-„შრ. რეზერვები“ (ოჩამჩირე) — 1:0, „ცისკარი“ (ბათუმი)-„რიონი“ (ქუთაისი) — 1:1, „სპარტაკი“ (მახარაძე)-„ინგური“ (ზუგდიდი) — 2:1.

III ზონა

„რატევანი“ (ბოლნისი)-„პიშჩევიკი“ (თბილისი) — 4:2, „ელმავალი“ (თბილისი)-„ალგეთი“ (თეთრიწყარო) — 2:0, „გრდემლი“ (თბილისი)-„მექანიზატორი“ (ადიგენი) — 0:4, „აბული“ (ახალქალაქი)-„ლოკომოტივი“ (გურჯაანი) — W:0. „განთიადი“ (კასპი)-„არაგვი“ (დუშეთი) — 1:3, „ტორპედო“ (თბილისი)-„ჩანჩქერი“ (ბორჯომი) — 4:1.

IV ზონა

„ნარიყალა“ (თბილისი)-„არაგვი“ (მცხეთა) — 1:0, „მშენებელი“ (რუსთავი)-„შირაქი“ (წითელწყარო) — 2:1, „ქართლი“ (ქარელი)-„ჩანჩქერი“ (ლაგოდეხი) — 1:2, „დურუჯი“ (ყვარელი)-„ნადიკვარი“ (თელავი) — 6:0.

გათამაშების ცხრილი

მოკავშირე რესპუბლიკათა

I ზონა

მდგომარეობა 8 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	18	16	1	1	53:12	33
„ურალეცი“ (მინსკი)	18	12	4	2	40:12	28
„შირაქი“ (ლენინაკ.)	17	12	1	4	32:20	25
„ვიერული“ (კიშინიოვი)	18	10	2	6	26:16	22
„კრ. მეტალურგი“ (ლიეპაია)	18	9	3	6	25:22	21
„ლოკომოტივი“ (გომელი)	18	8	4	6	24:20	20
„ბურევესტნიკი“ (ერევანი)	18	8	3	7	28:19	19
„ლორი“ (კიროვაკ.)	18	5	6	7	19:18	16
„ბანგა“ (კაუნასი)	18	6	4	8	16:23	16
„დინამო“ (ბათუმი)	19	6	5	8	19:17	17
რეზ-ი (რიგა)	18	5	4	9	30:45	14
„სპარტაკი“ (ბრესტი)	18	5	3	10	17:28	13
„ხიმიკი“ (მოგილ.)	18	3	6	9	23:33	12
„კრ. ზნამია“ (ვიტებსკი)	18	3	6	9	16:32	12
„ნისტრული“ (ბენდერი)	18	2	5	11	18:45	9
„დინამო“ (ტალინი)	18	3	3	12	14:38	9

შენიშვნა: ბოლო ტურის მატჩებიდან ცხრილში შეტანილია ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შეხვედრა.

ა. ნიმცოვიჩის ხსოვნის ტურნირი

კოპენჰაგენში (დანია) დაიწყო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი გროსმაისტერის ა. ნიმცოვიჩის ხსოვნას. ტურნირში მონაწილეობენ ხუთი ქვეყნის — სსრ კავშირის, დანიის, ჰოლანდიის, შვეციისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭადრაკეები. ჩვენი ქვეყნის სახელით ტურნირში თამაშობენ გროსმაისტერები ტ. პეტროსიანი და ე. გელერი.

არონ ნიმცოვიჩი (დაიბადა რიგაში 1886 წელს) რუსეთის გამოჩენილი გროსმაისტერი იყო. იგი გაწინაურდა ჯერ კიდევ ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში სწავლის დროს. 1905 წლიდან იგი რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში. 20-იან წლებში ა. ნიმცოვიჩი აღიარებული იყო მსოფლიოს ჩემპიონის სახელის პრეტენდენტად. სიცოცხლის დიდი ნაწილი (1914 წლიდან) მან გაატარა დანიაში, სადაც ჩამოაყალიბა თამაშის თავისი ორიგინალური სტრატეგიული სისტემა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მის თანამედროვეებზე. ცნობილია აგრეთვე ა. ნიმცოვიჩის წვლილი სადებიუტო თეორიის განვითარებაში. გარდა იმისა, რომ მის სახელს ატარებს ერთ-ერთი დებიუტი, ა. ნიმცოვიჩს ეკუთვნის მრავალი გონებამახვილური ვარიანტი ინდურ, სიცილიურ, ფრანგულ დაცვებში. გამოჩენილი გროსმაისტერი რამდენიმე ფუნდამენტალური ნაშრომის ავტორია. იგი გარდაიცვალა 1935 წელს.

ლელო

ვინ იქნება პირველი?

— რომელ ადგილს დაიკავებს საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი რომის ოლიმპიურ თამაშებზე? — იუწყება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მიერ გამოცხადებული ოლიმპიური კონკურსი.

ძალზე გაუძნელდებათ კონკურსში მონაწილე სპორტის მოყვარულებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შემავალ, როგორც მთელ რიგ სახეობაში, ასევე წყალბურთში, თითქმის შეუძლებელია თქვა, ვინ იქნება ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

ოლიმპიურ ჩემპიონობაზე პრეტენზიას აცხადებენ იუგოსლავიის, უნგრეთის, სსრ კავშირისა და თამაშების ორგანიზატორის იტალიის გუნდები, რომელთაც ჯერჯერობით გამარჯვების ერთნაირი შანსები აქვთ. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოვტოვოთ რუმინეთის, პოლანდიის, გერმანიის წყალბურთელებიც, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს.

ზემოჩამოთვლილ გუნდებთან შედარებით მნიშვნელოვნად „გაახალგაზრდავდა“ ჩვენი ქვეყნის ნაკრები. ამ კოლექტივში ნიჭიერი ახალგაზრდების — გოგოლაძის, ჩიქვანაიას, გრიგორიევსკის, შიდლოვსკის მოსვლამ დიდად გაზარდა ოლიმპიური ოქროს მედლებისათვის ბრძოლის შანსები. მაგრამ ამ ამოცანის განხორციელება არც თუ ისე ადვილი საქმეა, რადგან საბჭოთა წყალბურთელებისათვის ყოველთვის ძალზე ძნელი იყო იტალიელ სპორტსმენთა შეუპოვარი წინააღმდეგობის გადალახვა, მით უმეტეს, ახლა, როცა ისინი თავიანთ „მოედანზე“ თამაშობენ.

ჩვენი და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრების ბალანსს თუ გადავხედავთ, არც თუ ისე სახარბიელოა ჩვენი წყალბურთელებისათვის. უკანასკნელი შეხვედრების (თუმცა ისინი ამხანაგურ ხასიათს ატარებდა) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა წყალბურთელებმა ერთგვარად „გამოისყიდეს დანაშაული“.

ჩემპიონობის პრეტენდენტია უნგრეთის გუნდი, რომელიც უკანასკნელი 6 ოლიმპიური თამაშების განმავლობაში 4-ჯერ გამოვიდა გამარჯვებული, თუმცა უნგრელმა წყალბურთელებმა უკანასკნელი ამხანაგური საერთაშორისო მატჩები სუსტად ჩაატარეს (წააგეს რუმინელებთან, ფრედ ითამაშეს გერმანელებთან). ეს ამბავი არ შეიძლება ამ გუნდის ოლიმპიადისათვის არასაკმაო მომზადებაზე მეტყველებდეს, რადგან ოლიმპიური ჩემპიონი თავის პოზიციებს ასე ადვილად არ დათმობს.

საბჭოთა წყალბურთელები ოლიმპიურ თამაშებზე გამოდიან 1952 წლიდან. ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ნაკრები გუნდი მხოლოდ მე-7 ადგილით დაკმაყოფილდა. მთელი 4 საფეხურით აიწია მან მელბურნის ოლიმპიადაზე. პირველი მატჩი ჩვენი ქვეყნის ნაკრებს ჰქონდა იუგოსლავიის ძლიერ გუნდთან და იგი დამთავრდა იუგოსლაველ წყალბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2. (ბურთების ავტორი იყო პ. მშვენიერაძე) მომდევნო შეხვედრებში საბჭოთა წყალბურთელებმა დაამარცხეს რუმინეთის — 4:2, ავსტრალიის — 3:0, იტალიის — 3:2 გუნდები. (ამ მატჩში 2 ბურთი გაიტანა ნ. გვახარიამ).

ძალზე დაძაბული იყო აშშ-სსრ კავშირის წყალბურთელთა გუნდების მატჩი, რომელიც მოიგეს ჩვენმა სპორტსმენებმა — 3:1. ბურთები გაიტანეს: პ. მშვენიერაძემ (2) და ნ. გვახარიამ. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთი და იუგოსლავია. გაიმარჯვეს უნგრელმა სპორტსმენებმა — 2:1 და მოიპოვეს ოლიმპიური ჩემპიონის სახელი.

სატურნირო ცხრილში ადგილები ასე განაწილდა: უნგრეთი, იუგოსლავია, სსრ კავშირი, იტალია, აშშ, გერმანია.



იტალია. 130-მეტრიანი გადახურული სარბენი ბილიკი რომში, რომელიც განკუთვნილია მძლეოსანთა ვარჯიშისათვის 100 მეტრზე რბენასა და 110 მეტრზე რბენისათვის თარჯებით.

ვაჯამებთ ჩაშვების შედეგებს, მიღწეული სიგრძე 50 მეტრს არ აღემატება. შემდგომი სვლისათვის აუცილებელია კარგად შეიარაღებული დიდი ექსპედიციის მოწყობა. ნაპოვნია დღემდე უცნობი მიწისქვეშა წყარო, რომლის გამოყენებითაც შეიძლება ყვირას საძოვრების პროდუქტიულობის გადიდება.

სავარძელს ამოყავს ჯანელიძე და კურდღელაიძე. უფსკრულს ვანიჭებთ ყვირას მასივის პირველი მკვლევარის — ნიკოლოზ ალბოვის სახელს.

ჩვენი სპორტული მისწრაფება — ჩავსულიყავით მნიშვნელოვან სიღრმეზე — ალბოვის უფსკრულმა ვერ დააკმაყოფილა, ამიტომ მომდევნო დღე ახალი ობიექტების ძიებაში გადის.

საინტერესო სპელეოსპორტული ობიექტი ყვირას მთაზე მაინც აღმოჩნდა და აღმოჩნდა იქ, სადაც ამას ყველაზე უფრო ნაკლებად ველოდით. იგი აღმოჩნდა „ინჭაში“ წყლის ამოსაღებ ბუნებრივ შახტში, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1580 მ სიმაღლეზე, ს. ფიფიას ქოხის ახლოს. უხსოვარი დროიდან სარგებლობენ მეგრელი მწყემსები ამ ჭით და ჯერ არავის მოსვლია აზრად, რომ იგი მხოლოდ დასაწყისია ვრცელი მიწისქვეშა ლაბირინთისა...

ნიკო ფიფიას მიერ გაკეთებული 12-მეტრიანი კიბით ჩავდივართ „ინჭაში“. სიცივეა, ძირზე ანკარა ტბა ლივლივებს. შახტის ფსკერის დასავლეთ მხარეზე იწყება მეორე ჭა, რომელიც ამოხერგილია მწყემსების მიერ გადაყრილი ძველი კიბეების დამპალი ხეებით.

ჰ. ჯანელიძეს კაპრონის თოკით „მეგზურის კვანძს“ ვუკეთებთ და იგი იწყებს პიტალო კლდეზე ცოცვას მეორე შახტის გაღმა გასასვლელად. სამი კაცი დაცვაზე დგას, მეოთხე კი ელექტროსანათურით გზას უნათებს წინამავალს. ხანგრძლივი წვალების შედეგად ჯანელიძე ახერხებს სახიფათო ადგილის დაძლევას და თოკის შეუხსნელად შედის თარაზულ გვირაბში. მისი ხმა ადვილად აღწევს ჩვენამდე, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ჯანელიძის მიერ საკმაოდ დიდი მანძილის გავლის შემდეგ მისი ხმა ჩვენთან დასავლეთიდან კი არ მოდის, არამედ ჩრდილოეთიდან — „ინჭას“ კედლის ღრმულებიდან. ჩანს, აქ ვიწრო ხვრელები უნდა არსებობდეს კირქვაში.

ჯანელიძეს მიყვებიან გ. კურდღელაიძე და ნ. ფიფია. სამამულო ომში თვალდაკარგული მეგრელი ვაჟკაცი თამამად, თოკზე ხელმოუკიდებლად გადის საზარელი უფსკრულის თავზე. სამივენი იწყებენ გვირაბების ლაბირინთის დავლა-დაზვერვას და დროგამოშვებით გვაცნობებენ შედეგებს. ისმის აღტაცებული შეძახილები, სტალაქტიტებისა და სვეტების „ქება-დიდება“. შემდეგ ეს ყველაფერი წყდება და მეფდება ხანგრძლივი სიჩუმე.

ასე გადის ერთი საათი.

შემდეგ კვლავ გვესმის გვირაბებიდან ამხანაგების ხვნეშა და საუბარი, იგი ახლოვდება. ჯანელიძის აღფრთოვანებული ხმა გვაცნობებს:

— ჩასვლის პერსპექტივა არის. ვნახეთ ჭა, რომელიც სიღრმით ალბოვის უფსკრულს აღემატება!

დაზვერვის შედეგებით კმაყოფილნი ამოვდივართ „ინჭადან“, ვსადილობთ და ხანმოკლე შესვენების შემდეგ ისევ მივემართებით. ნიკო ფიფია თლის ხეებს ამოხერგილ ჭაზე გადასასვლელისა და საბოლოო ჭაში ჩასასვლელი დგარის მოსაწყობად.

იწყება მთელი ჯგუფის ჩაშვება უფსკრულში. ახალგადებული „ხიდით“ გადავდივართ მეორე შახტზე და კლდეებით მივფოთხავთ ცოტათი ზევით — ერთ-ერთ გვერდითს გვირაბში. აქ ჯანელიძისა და კურდღელაიძის მიერ ნაპოვნი ხვრელის შესასვლელს ვპოულობთ. 50 მეტრის მანძილზე მივხოხავთ ქვემოთკენ, 35-40 გრადუსით დაქანებულ დაბალ გვირაბში, სადაც ჯდომაც კი არ შეიძლება. გვირაბის ფსკერი მოფენილია წვეტიანი ქვებით და ხორკლებით, ხოლო ჭერი სტალაქტიტებით. ხელფეხი გვტკივა ქვებისა და ხორკლებისაგან, თავი და მხრები სტალაქტიტებს ედება. უნებურად ფიქრი გებადება: რა მოხდება, უეცრად წვიმა რომ წამოვიდეს და ამ ჯოჯოხეთურ ხვრელში ნიაღვარი გაჩნდეს? მაგრამ, უსიამოვნო მონაკვეთი თავდება და ჩვენ გავდივართ შესანიშნავად გაფორმებულ დარბაზში, სადაც სტალაქტიტები, სტალაგმიტები და სვეტები თითქოს ერთმანეთს შეჯიბრებიან სილამაზეში.

დარბაზი სამსართულიანია. სართულიდან სართულზე ჩასვლისას გვიხდება სხეულის მოკეცვა და უვიწროვეს ხვრელებში ძალისმიერი გაძრომა. კიდევ რამდენიმე მეტრიც და ჩვენ საიდუმლოებით მოცული ახალი უფსკრულის თავთან ვდგავართ. სტალაქტიტების ჩაყრისას იქიდან ხანგრძლივი ბრახუნი და ბოლოს წყლის შხაპუნიც მოისმის.

უფსკრულის თავზე მოხერხებულად ვაწყობთ ჩასაშვებ ხის ჩარჩოს, რომელიც შედგება ორი პარალელური მორისა და ორი გარდიგარდმო, რკინის კაუჭებით დაჭედილი სამაგრისაგან. ჰ. ჯანელიძე „მეგზურის კვანძით“ ისევ იბავს კაპრონის ასმეტრიანი თოკის ბოლოს. ჩაშვება-ამოყვანის გასაადვილებლად უფსკრულში ვაგდებთ მეორე, სხვა მორზე გამობმული თოკის ბოლოს დიდი სტალაქტიტის ტვირთით. კვანძების შემოწმების შემდეგ გ. კურდღელაიძე, ნ. გრძელიძე, ნ. ფიფია და ჩქვალერას საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელი დავით ფიფია თავიანთ ადგილებს იკავებენ ჩამშვებ თოკზე. იწყება ჩაშვება.

ელექტროსანათური აშუქებს უცნობი ჯურღმულის ჩამოლესილ კედლებს. ქვათავარდნის თვალსაზრისით ეს შახტი სავსებით უხიფათოა. ჯანელიძე ნელ-ნელა ეშვება დაბლა და გვაწვდის ძახილებს:

— გამაჩერეთ!

25 მეტრის სიღრმეში ჯანელიძემ აღმოაჩინა ჰორიზონტალური გვირაბი, დაათვალიერა იგი თოკის შეუხსნელად და დარწმუნდა რა, რომ გვირაბი კლდეზვავით არის ჩაკეტილი, განაგრძო ჩაშვება. 35 მ სიღრმეზე მან მიაღწია პაწია ტბას. გვირაბში აღმოჩნდა დამატებითი ჭა 8 მ სიღრმისა, რომელშიც ჩაშვების შედეგად ჯანელიძემ მიაღწია ამ უფსკრულში ჯერჯერობით მაქსიმალურ მისაწვდომ სიღრმეს — 77 მეტრს „ინჭას“ თავიდან.

ამრიგად, ჩვენ 5 მეტრით გავზარდეთ საქართველოს ბუნებრივ უფსკრულებში ჩაღწევის რეკორდი, რომელიც კელასურის მღვიმეში იქნა დამყარებული და 72 მეტრს უდრიდა. ახლად აღმოჩენილ და გავლილ უფსკრულს ყვირას მასივზე საქართველოს ისტორიული წარსულის გმირის ცოტნე დადიანის სახელი ვუწოდეთ.

ყვირას მთაზე ჩატარებულმა სპელეოლოგიურმა კვლევამ საბოლოოდ დაამტკიცა ჩვენს რესპუბლიკაში მღვიმური სპორტის განვითარების თითქმის უსაზღვრო პერსპექტივების არსებობა. საჭიროა სპორტის ამ დარგის ორგანიზაციული საფუძვლის განმტკიცება და გაფართოება. დროა დაწესდეს სპელეოჩაღწევების ნორმატივები და თანრიგები. სპელეოსპორტს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია როგორც ჩვენი მეცნიერებისათვის, ასევე სახალხო მეურნეობისათვისაც, მისი გავრცელება აუცილებელია.

ლ. მარუაშვილი,
გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი.

(დასასრული. იხ. „ლელო“ № 94).

დაიღუპა ბობ გუტოვსკი

ტრაგიკულად დაიღუპა მსოფლიოს რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში ამერიკელი ბობ გუტოვსკი. იგი მეგობრებთან ერთად ავტომანქანით მიემგზავრებოდა კალიფორნიის გზატკეცილზე და სან-დიეგოდან 40 კილომეტრის დაშორებით მოხდა ავარია, რომლის მსხვერპლი გახდა გამოჩენილი ამერიკელი რეკორდსმენი.

25 წლის შესანიშნავი სპორტსმენი დიდი პოპულარობით სარგებლობდა სპორტის მოყვარულთა შორის. მან პირველი დიდი წარმატება მოიპოვა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მომდევნო წელს ბ. გუტოვსკიმ დაძლია 480 სანტიმეტრი სიმაღლე და შემდეგ ეს შედეგი 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა, რომელიც არ იქნა აღიარებული მსოფლიო რეკორდად.

რედაქტორი ი. უგულავა.

დ ღ ე ს!

ს. მ. კიროვის სახელობის
პარკის კალათბურთის მოედანი
კ ა ლ ა თ ბ უ რ თ ი
კპი (კაუნასი) —
სპი (თბილისი)
(ქალები)
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი
დღეს!

ფეხბურთი

„ბურევესტნიკი“ (თბილისი)
— „შახტიორი“ (ყარაგანდა)
დასაწყისი 18 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისის, ლენინის ქ. № 14. უე 04235